ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4113009

ნომერი: AR1620847

თარიღი : 03.08.2018

გაცემის თარიღი : 10.08.2018

გაცნობის თარიღი : 10.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ულიანოვი , N 29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ლიბანი , N 6 ; ქალაქი თბილისი , გამზირი სარაჯიშვილი , ნაკვეთი 08/078;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერთ იუმუშაქერ პ/ნ 01092003974
- გურამიშვილის გამზ.#64

ორგანიზაცია:
- იონფამ ჯორჯია კოდი: 200271721

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი , ქუჩა ულიანოვი, N 29, ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიბანი, N 6, ქალაქი თბილისი გამზირი სარაჯიშვილი, ნაკვეთი 08/078, შპს. "ოინპაშ ჯორჯია" -ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.11.03.008.159) ბეტონის საფარის მოწყობის შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.11.03.008.159, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892017032735 31/10/2017 წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ქუჩა ულიანოვი, N 29, ქალაქი თბილისი, ქუჩა ლიბანი, N 6, ქალაქი თბილისი გამზირი სარაჯიშვილი, ნაკვეთი 08/078, შპს. "ოინპაშ ჯორჯია" -ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.11.03.008.159) ბეტონის საფარის მოწყობის შესაძლებლობას.

– დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთზე (N 01.11.03.008.159) არსებული საჯარო-სამართლებრივი სერვიტუტი (47 კვ.მ.)
– საპროექტო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით .

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.